საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6187/01
03/07/2020

6187-01-2-202007031658

შპს „ალფას“ დირექტორს
ბატონ ოთარ იველაშვილს
მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი,
სოფ. გამარჯვება

ბატონო ოთარ,

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 29 ივნისის N9682 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში, შპს „ალფას“ მეორადი ზეთის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ალფას“ მიერ ტექნოლოგიურ პროცესში საწვავად გამოყენებული იქნება როგორც თხევადი გაზი, ასევე ბუნებრივი აირი. მაგრამ სკრინინგის ანგარიშში ორივე სახის საწვავის გამოყენების საკითხი განხილული არ არის.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის ანგარიშში განხილული უნდა იყოს ტექნოლოგიურ პროცესში როგორც თხევადი გაზის, ასევე ბუნებრიბი აირის გამოყენების საკითხები და შესაბამისად როგორც თხევადი გაზის, ასევე ბუნებრივი აირის გამოყენებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ საქმიანობაზე იმსჯელებს მას შემდეგ, რაც შპს „ალფა“ უზრუნველყოფს სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044